ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ78.78220542**

თარიღი:**23/02/2022**

შპს ,,ონის სერვის ჯგუფის"(437978869) რეორგანიზაციის(გამოყოფა) და ახალი სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და , ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის" საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შპს ,,ონის სერვის ჯგუფის" (437978869) რეორგანიზაციის(გამოყოფა) შედეგად დაფუძნდეს ახალი სამეწარმეო საზოგადოება შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური".
2. შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურის" სარეგისტრაციო დოკუმენტაცია მოყვანილ იქნას მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მისი ოფიციალურად გაცნობიდან 1 თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. ამბროლაური , მ. კოსტავას ქ, №13).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია ელექტრონული ოფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ONI MUNICIPALITY CITY HALL 237978275